

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №90

2016 წლის 16 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დებულება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის განათლების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 23 მაისის №171 ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 19 დეკემბრიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ბუთხუზი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დებულება

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) თავდაცვის ძალების (შემდგომ – თავდაცვის ძალები) წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა (შემდგომ „სარდლობა“) არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.
- სარდლობა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის (შემდგომ – „მინისტრი“) სამართლებრივი აქტებით და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის (შემდგომ – „თავდაცვის ძალების მეთაური“) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.
- სარდლობა ანგარიშვალდებულია მინისტრისა და თავდაცვის ძალების მეთაურის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ სარდლობის სამსახურებრივ ზედამხედველობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- სარდლობას აქვს საკუთარი სახელწოდებით – ბეჭედი ქართულ-ინგლისური წარწერით, შტამპი, ბლანკი და დროშა. ფინანსური ოპერაციების საწარმოებლად სარდლობას აქვს დადგენილი ნიმუშის ბეჭედი საიდენტიფიკაციო კოდით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.



მუხლი 2. სარდლობის ამოცანა

სარდლობის ამოცანებია:

- ა) სამხედრო-სასწავლო დაწესებულებათა ინსტიტუციური ბაზისა და ორგანიზაციული სფეროს განვითარება;
- ბ) პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეების მომზადება/გადამზადება და ქვედანაყოფების შეფასება;
- გ) „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) პროგრამისა და ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში ნატოს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების მომზადება და ქვედანაყოფების შეფასება;
- დ) ოპერატიული და ტაქტიკური დონის დოქტრინალური სახელმძღვანელოების შემუშავება;
- ე) საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მისაღებად განსაზღვრული ქვედანაყოფების გადსროლისწინა მომზადება, გადამზადება და შეფასება;
- ვ) თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებისა და წვრთნების მხარდაჭერა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

მუხლი 3. სარდლობის კომპეტენცია

სარდლობის კომპეტენციაა:

- ა) თავდაცვის ძალებში წვრთნებისა და სამხედრო განათლების ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- ბ) თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებების ჩატარება და შეფასება, კომპეტენციის ფარგლებში;
- გ) თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების წვრთნა და შეფასება;
- დ) საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების გადსროლისწინა მომზადება/გადამზადება და შეფასება, ასევე გადსროლისწინა პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა;
- ე) „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) პროგრამისა და ორმხრივი და მრავალმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში სამთო მომზადების საერთაშორისო კურსების დაგეგმვა, ჩატარება, კოორდინაცია და კონტროლი;
- ვ) ნატოს და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების წვრთნა და/ან შეფასება;
- ზ) პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ორგანიზება და კონტროლი;
- თ) სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინსტიტუციონალური ბაზისა და ორგანიზაციული სფეროს განვითარება;
- ი) სასწავლო პროცესისა და საბრძოლო მომზადების წარმართვისათვის საორგანიზაციო მეთოდური მითითებისა და ძირითადი ღონისძიებების გრძელვადიანი/მოკლევადიანი გეგმა-კალენდარის მომზადება, სამხედრო განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
- კ) თავდაცვის ძალებში მიღებული ახალი სამხედრო შეიარაღებისა და ტექნიკის სისტემების შესწავლა



და მათი სასწავლო პროგრამის შემუშავება;

ლ) სარდლობის სამხედრო სასწავლო პროგრამების შემუშავება, განხილვა და აღიარების პროცესში მონაწილეობის მიღება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზი და მიღებული გამოცდილების გაზიარება;

[ლ) სარდლობის სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განსაზღვრულ სტანდარტებთან თავსებადობის შემთხვევაში მათი დამტკიცება. სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და აღიარების პროცესში მონაწილეობის მიღება, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზი და მიღებული გამოცდილების გაზიარება; (ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)]

მ) თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებისა და წვრთნების მხარდაჭერა სიმულაციური საშუალებებით და აღჭურვილობით, პოლიგონებით, სასროლეთებით, საწვრთნელი ბაზებით და ტექნიკური საშუალებებით;

ნ) საერთაშორისო სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარება და წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვა;

ო) სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განვითარების მხარდაჭერა;

პ) საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) ჩატარება;

ჟ) სპეციალისტებისა და უმცროს მეთაურთა მომზადება/გადამზადება, ძირითადი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით;

რ) სერჟანტთა საკარიერო სამხედრო განათლების პროგრამით მომზადება;

ს) უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლების სპეციალობის პროგრამით მომზადება (ტაქტიკური დონე);

[ს¹) უფროს ოფიცერთა საკარიერო სამხედრო განათლების პროგრამით მომზადება (ოპერატიული დონე); (ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)]

ტ) ოპერატიული და ტაქტიკური დონის დოქტრინალური სახელმძღვანელოების შემუშავება, ოპერაციებისა და წვრთნების დროს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით;

უ) (ამოღებულია - 06.04.2021, №20);

ფ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამთო-სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა;

ქ) უცხო ენის ცოდნის დონის შეფასება;

[ქ¹) უცხო ენათა შემსწავლელი პროგრამების განხორციელება; (ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)]

ღ) სარდლობის ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის საკადრო საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და კოორდინაცია, კომპეტენციის ფარგლებში, პირადი შემადგენლობის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, შეფასებისა და კარიერული მართვისათვის საჭირო დონისძიებების განხორციელება, პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობის წარმართვა, მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და სამტატო სტრუქტურის დაგეგმვა;

ყ) სარდლობის საბრძოლო მომზადების გეგმების შემუშავება და საბრძოლო მზადყოფნის დონის ასამაღლებლად სწავლებების ჩატარება, სტანდარტული ოპერატიული სამოქმედო პროცედურების შემუშავება;



შ) სარდლობის ქვედანაყოფების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტროლი;

ჩ) სარდლობის ლოჯისტიკური ოპერაციების დაგეგმვა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, შეიარაღების, საბრძოლო მასალების, ტექნიკის, სასწავლო მატერიალური ბაზის და სხვა მატერიალური საშუალებების შეფასების ორგანიზება და სტატუსების მართვა, სარდლობის ქვედანაყოფების სამედიცინო საქმიანობის კოორდინაცია, ლოჯისტიკური უზრუნველყოფის მართვა ერთიანი საინფორმაციო და პროგრამული სისტემის მეშვეობით, სარდლობის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების ბიუჯეტირების პროცესის წარმართვა;

ც) სარდლობის გრძელვადიანი განვითარების გეგმების შემუშავება;

ძ) სარდლობის პირადი შემადგენლობისთვის საზღვარგარეთ სასწავლო კურსების დაგეგმვისა და განხორციელების პროცედურების ორგანიზება;

წ) სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა;

ჭ) ნატო – საქართველოს არსებითი პაკეტისა (SNGP) და ნატოს პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების კოორდინაცია და კონტროლი, აღებული ვალდებულებების შესრულების სტატუსის შესახებ პერიოდული მოხსენებების მომზადება, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის განხორციელება, კომპეტენციის ფარგლებში;

ჯ) სარდლობის ქვედანაყოფების სატელეფონო, მართვის ავტომატიზებული სისტემების, კომპიუტერული ქსელების, რადიოკავშირების და კავშირგაბმულობის საშუალებების განაწილება და ექსპლუატაციის კონტროლი, ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების ორგანიზების კონტროლი, წვრთნებისა და სწავლებების მიმდინარეობის დროს კავშირგაბმულობის სისტემების ფუნქციონირების კონტროლი და მონიტორინგი;

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთიანი ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელების უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულება, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება, ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორი წარმართვა კომპეტენციის ფარგლებში.

ჰ) კომპეტენციის ფარგლებში, სარდლობის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამართლებრივ საკითხებზე იურიდიული დახმარების გაწევა, საიდუმლო და არასაიდუმლო საქმისწარმოების ორგანიზება.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 17 ივლისის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 19.07.2017წ.
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 22.10.2019წ.
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 16.01.2020წ.
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 6 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 07.04.2021წ.
საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის ბრძანება №78 - ვებგვერდი, 01.12.2021წ.*

მუხლი 4. სარდლობის სტრუქტურული ერთეულები და მათი კომპეტენცია

1. სარდლობის სტრუქტურული ერთეულებია (შემდგომში – სტრუქტურული ერთეული):

ა) ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური;

ბ) უცხო ენის ტესტირების უზრუნველყოფის განყოფილება;

გ) შტაბი;

გ.ა) G-1 სამსახური;

გ.ბ) G-3 სამსახური;



გ.გ) G-4 სამსახური;

გ.დ) G-5 სამსახური;

გ.ე) G-6 სამსახური;

დ) ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC);

ე) საერთო საჯარისო ცენტრი;

ვ) წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერი ცენტრი „კრწანისი“;

ზ) (ამოღებულია - 01.09.2020, №78);

თ) გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია;

ი) პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა;

კ) უფროს სერჟანტ ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი;

ლ) დოქტრინების განვითარების ცენტრი;

მ) სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი;

ნ) ენობრივი მომზადების სკოლა. (ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)]

2. სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციაა:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური:

ა.ა) უზრუნველყოფს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთიანი ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელებას;

ა.ბ) ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულებას;

ა.გ) უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებას;

ა.დ) ახორციელებს ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმართვას;

ა.ე) უზრუნველყოფს სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისა და დაფინანსების სწორ, დროულ ასახვას შესაბამის პირველად დოკუმენტებში;

ა.ვ) უზრუნველყოფს ხარჯების გაწევის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას;

ა.ზ) ახორციელებს კანონმდებლობით ნებადართული სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადებას და შესაბამისი ფინანსური ოპერაციების წარმოებას;

ა.თ) უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობასა და შესაბამისი გათვლების წარმოებას;

ა.ი) ახორციელებს ქვედანაყოფის შესაბამის ფულად უზრუნველყოფას და სალარო ოპერაციების წარმოებას;

ა.კ) უზრუნველყოფს ანგარიშგების (რეპორტის) მომზადებას და დადგენილ ვადებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარდგენას;



ა.ლ) ანგარიშვალდებულა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის წინაშე.

ბ) უცხო ენის ტესტირების უზრუნველყოფის განყოფილება – ახორციელებს უცხო ენების ტესტების შედგენას, ტესტირების ჩატარებას/ადმინისტრირებას და ცოდნის დონის შეფასებას;

გ) სარდლობის შტაბი – ახორციელებს სარდლობის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის დაგეგმვას, კოორდინაციას და კონტროლს:

გ.ა) G-1 სამსახური:

გ.ა.ა) უზრუნველყოფს სარდლობის ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის საკადრო საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას და კოორდინაციას, კომპეტენციის ფარგლებში;

გ.ა.ბ) ახორციელებს პირადი შემადგენლობის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, შეფასებისა და კარიერული მართვისათვის საჭირო ღონისძიებებს;

გ.ა.გ) წარმართავს პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობას, ქმნის მონაცემთა ერთიან ბაზას და ახორციელებს საშტატო სტრუქტურის დაგეგმვას;

გ.ბ) G-3 სამსახური:

გ.ბ.ა) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და საბრძოლო მომზადების წარმართვისათვის საორგანიზაციო მეთოდური მითითებისა და ძირითადი ღონისძიებების გრძელვადიანი/მოკლევადიანი გეგმა-კალენდარის მომზადებას;

გ.ბ.ბ) უზრუნველყოფს სარდლობის სამხედრო სასწავლო პროგრამების განხილვას და აღიარების პროცესში მონაწილეობის მიღებას;

გ.ბ.გ) ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ – „კ“ ქვეპუნქტებში მითითებულ სტრუქტურულ ერთეულებში, უზრუნველყოფს ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული გამოცდილების გაზიარებას;

[გ.ბ.გ) ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ – „კ“, „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებში მითითებულ სტრუქტურულ ერთეულებში, უზრუნველყოფს ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული გამოცდილების გაზიარებას; (ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)]

გ.ბ.დ) უზრუნველყოფს თავდაცვის ძალებში მიღებული ახალი სამხედრო შეიარაღებისა და ტექნიკის სისტემების შესწავლისა და მათი სასწავლო პროგრამის შემუშავების პროცესის კოორდინაციას;

გ.ბ.ე) უზრუნველყოფს სამხედრო განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას;

გ.ბ.ვ) უზრუნველყოფს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფების გადასროლისწინა მომზადების/გადამზადების და შეფასების პროცესის მონიტორინგს;

გ.ბ.ზ) კოორდინაციას უწევს ოპერატიული და ტაქტიკური დონის დოქტრინალური სახელმძღვანელოების შემუშავებას;

გ.ბ.თ) უზრუნველყოფს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებისა და წვრთნების მხარდაჭერის ორგანიზებას;

გ.ბ.ი) ახორციელებს სარდლობის საბრძოლო მომზადების გეგმების შემუშავებას და საბრძოლო მზადყოფნის დონის ასამაღლებლად სწავლებების ჩატარებას;



გ.ბ.კ) შეიმუშავებს სარდლობის სტრუქტურული ერთეულების სტანდარტულ სამოქმედო პროცედურებს;

გ.ბ.ლ) ახორციელებს სარდლობის ქვედანაყოფების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტროლს;

გ.გ) G-4 სამსახური:

გ.გ.ა) ახორციელებს სარდლობის ლოჯისტიკური ოპერაციების დაგეგმვას და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;

გ.გ.ბ) უზრუნველყოფს სარდლობის სტრუქტურული ერთეულების შეიარაღების, საბრძოლო მასალების, ტექნიკის, სასწავლო მატერიალური ბაზის და სხვა მატერიალური საშუალებების შეფასების ორგანიზებას და სტატუსების მართვას;

გ.გ.გ) ახორციელებს სარდლობის ქვედანაყოფების სამედიცინო საქმიანობის კოორდინაციას;

გ.გ.დ) ლოჯისტიკური უზრუნველყოფის მართვას ერთიანი საინფორმაციო და პროგრამული სისტემის მეშვეობით, ახორციელებს სარდლობის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების ბიუჯეტირების პროცესის წარმართვას;

გ.დ) G-5 სამსახური:

გ.დ.ა) ახორციელებს სარდლობის გრძელვადიანი განვითარების გეგმების შემუშავებას;

გ.დ.ბ) ახორციელებს პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ორგანიზებას და კონტროლს;

გ.დ.გ) ახორციელებს სარდლობის პირადი შემადგენლობისთვის საზღვარგარეთ სასწავლო კურსების დაგეგმვისა და განხორციელების პროცედურების ორგანიზებას;

გ.დ.დ) ახორციელებს სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობას;

გ.დ.ე) უზრუნველყოფს სამშვიდობო მისიებისთვის შერჩეული ქვედანაყოფების გადასროლისწინა მომზადების პროცესის მხარდაჭერას;

გ.დ.ვ) ახორციელებს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტისა (SNGP) და ნატოს პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების კოორდინაციას და კონტროლს, აღებული ვალდებულებების შესრულების სტატუსის შესახებ პერიოდული მოხსენებების მომზადებას;

გ.დ.ზ) ახორციელებს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) პროგრამისა და ორმხრივი და მრავალმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში სამთო მომზადების საერთაშორისო კურსების დაგეგმვას, ორგანიზებას და ჩატარების კოორდინაციას;

გ.დ.თ) ახორციელებს სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობას, კომპეტენციის ფარგლებში;

გ.ე) G-6 სამსახური:

გ.ე.ა) ახორციელებს სარდლობის ქვედანაყოფების სატელეფონო, მართვის ავტომატიზებული სისტემების, კომპიუტერული ქსელების, რადიოკავშირების და კავშირგაბმულობის საშუალებების განაწილებას და ექსპლუატაციის კონტროლს;

გ.ე.ბ) ახორციელებს ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების ორგანიზების კონტროლს;

გ.ე.გ) უზრუნველყოფს წვრთნებისა და სწავლებების მიმდინარეობის დროს კავშირგაბმულობის სისტემების ფუნქციონირების კონტროლს და მონიტორინგს;



გ.ე.დ) ახორციელებს კავშირგაბმულობის სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამების განხილვას, მათი აღიარების პროცესში მონაწილეობის მიღებას და განხორციელების მონიტორინგს;

დ) ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC):

დ.ა) ახორციელებს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებების ჩატარებას და/ან შეფასებას;

დ.ბ) ახორციელებს ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების წვრთნას და/ან შეფასებას;

დ.გ) ახორციელებს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების წვრთნას და შეფასებას;

დ.დ) უზრუნველყოფს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მისაღებად შერჩეული თავდაცვის ძალებში შემავალი ქვედანაყოფების გადასროლისწინა მომზადებას/გადამზადებას და შეფასებას;

დ.ე) მონაწილეობს დოქტრინალური სახელმძღვანელოების შემუშავებაში;

დ.ვ) უზრუნველყოფს საერთაშორისო სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარებას და წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

დ.ზ) უზრუნველყოფს საბრძოლო მომზადების ორგანიზებას და ჩატარებას, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მიღწევას და შენარჩუნებას;

ე) საერთო საჯარისო ცენტრი:

ე.ა) ახორციელებს სპეციალისტებისა და უმცროს მეთაურთა მომზადება/გადამზადებას, ძირითადი სამხედრო სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით;

ე.ბ) ახორციელებს უმცროს ოფიცერთა ძირითადი სამხედრო განათლების სპეციალობის პროგრამით მომზადებას (ტაქტიკური დონე);

ე.გ) ახორციელებს სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული გამოცდილების გაზიარებას;

ე.დ) მონაწილეობს დოქტრინალური სახელმძღვანელოების შემუშავებაში;

ე.ე) უზრუნველყოფს საერთაშორისო სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარებას და წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

ე.ვ) უზრუნველყოფს საბრძოლო მომზადების ორგანიზებას და ჩატარებას, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მიღწევას და შენარჩუნებას;

ვ) წვრთნებისა და სამხედრო განათლების მხარდამჭერი ცენტრი „კრწანისი“:

ვ.ა) ახორციელებს ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, დაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას, მათ შორის ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) და საერთო საჯარისო ცენტრის მიმართ;

[ვ.ა) ახორციელებს ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, მათ შორის ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) და საერთო საჯარისო ცენტრის მიმართ; (ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)]

ვ.ბ) ახორციელებს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებებისა და წვრთნების მხარდამჭერას სიმულაციური საშუალებებით და აღჭურვილობით, პოლიგონებით, სასროლეთებით, საწვრთნელი ბაზებით და ტექნიკური საშუალებებით;



ვ.გ) უზრუნველყოფს საბრძოლო მომზადების ორგანიზებას და ჩატარებას, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მიღწევას და შენარჩუნებას;

ზ) (ამოღებულია - 01.09.2020, №78);

თ) გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია:

თ.ა) უზრუნველყოფს სერჟანტთა, საკარიერო სამხედრო განათლების პროგრამით მომზადებას;

თ.ბ) ახორციელებს სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული გამოცდილების გაზიარებას;

თ.გ) ახორციელებს საერთაშორისო სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარებას და წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

თ.დ) უზრუნველყოფს საბრძოლო მომზადების ორგანიზებას და ჩატარებას, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მიღწევას და შენარჩუნებას;

ი) პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა:

ი.ა) ახორციელებს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP) პროგრამისა და ორმხრივი და მრავალმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში, ნატოს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების მომზადებას;

ი.ბ) ახორციელებს სამთო მომზადების საერთაშორისო კურსების დაგეგმვას და ჩატარებას, ალპინიზმისა და სამთო ტექნიკურ-ტექნიკური სპეციალისტების მომზადება/გადამზადებას;

ი.გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მონაწილეობს სამთო-სამაშველო ოპერაციებში;

ი.დ) ახორციელებს სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული გამოცდილების გაზიარებას;

ი.ე) ახორციელებს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებისა და წვრთნების მხარდაჭერას აღჭურვილობით, საწვრთნელი ბაზით და ტექნიკური საშუალებებით;

ი.ვ) ახორციელებს საერთაშორისო სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარებას და წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

ი.ზ) უზრუნველყოფს საბრძოლო მომზადების ორგანიზებას და ჩატარებას, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მიღწევას და შენარჩუნებას;

კ) უფროსს სერჟანტ ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი:

კ.ა) ახორციელებს საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) ჩატარებას;

კ.ბ) ახორციელებს თავდაცვის ძალებში დაგეგმილი ეროვნული და საერთაშორისო სწავლებისა და წვრთნების მხარდაჭერას სიმულაციური საშუალებებით და აღჭურვილობით, პოლიგონებით, სასროლეთებით, საწვრთნელი ბაზით და ტექნიკური საშუალებებით;

კ.გ) ახორციელებს სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული გამოცდილების გაზიარებას;

კ.დ) უზრუნველყოფს საერთაშორისო სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარებას და წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

კ.ე) უზრუნველყოფს საბრძოლო მომზადების ორგანიზებას და ჩატარებას, მაღალი საბრძოლო



მზადყოფნის მიღწევას და შენარჩუნებას;

ლ) დოქტრინების განვითარების ცენტრი:

ლ.ა) ახორციელებს ოპერატიული და ტაქტიკური დონის დოქტრინალური სახელმძღვანელოების შემუშავებას, ოპერაციებისა და წვრთნების დროს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით;

ლ.ბ) თავდაცვის ძალების პრიორიტეტული გეგმების შესაბამისად, დოქტრინების თარგმნას და გამოსაცემად მომზადებას;

ლ.გ) (ამოღებულია - 06.04.2021, №20);

მ) სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი:

მ.ა) ახორციელებს უფროს ოფიცერთა საკარიერო სამხედრო განათლების პროგრამით მომზადებას (ოპერატიული დონე);

მ.ბ) ახორციელებს სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული გამოცდილების გაზიარებას;

მ.გ) მონაწილეობს დოქტრინალური სახელმძღვანელოების შემუშავებაში;

მ.დ) უზრუნველყოფს საერთაშორისო სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარებას და წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვას;

მ.ე) უზრუნველყოფს საბრძოლო მომზადების ორგანიზებას და ჩატარებას, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მიღწევას და შენარჩუნებას;

ნ) ენობრივი მომზადების სკოლა:

ნ.ა) ახორციელებს უცხო ენათა შემსწავლელ პროგრამებს;

ნ.ბ) ახორციელებს სასწავლო პროგრამების შემუშავებას, ჩატარებული სასწავლო კურსების ანალიზს და მიღებული გამოცდილების გაზიარებას;

ნ.გ) მონაწილეობს დოქტრინალური სახელმძღვანელოების შემუშავებაში;

ნ.დ) უზრუნველყოფს საერთაშორისო სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილების გაზიარებას და წვრთნების თანამედროვე მეთოდების დანერგვას. **(ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)**

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ – „კ“ ქვეპუნქტებში მითითებულ სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ საკუთარი სახელწოდებით – ბეჭედი ქართულ-ინგლისური წარწერით, შტამპი, ბლანკი და დროშა.

- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 17 ივლისის ბრძანება №51 - ვებგვერდი, 19.07.2017წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის ბრძანება №21 - ვებგვერდი, 07.03.2018წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2019 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება №35 - ვებგვერდი, 22.10.2019წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის ბრძანება №11 - ვებგვერდი, 16.01.2020წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №78 - ვებგვერდი, 02.09.2020წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 6 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 07.04.2021წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 17 მაისის ბრძანება №32 - ვებგვერდი, 18.05.2021წ.
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის ბრძანება №78 - ვებგვერდი, 01.12.2021წ.

მუხლი 5. სარდლობის ხელმძღვანელობა და მათი უფლებამოსილება

1. სარდლობას ხელმძღვანელობს სარდალი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარდლობაზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის სარდალი ანგარიშვალდებულია სამინისტროსა და თავდაცვის ძალების



ხელმძღვანელობის წინაშე.

3. სარდალი, სარდლობაზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:

ა) ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) ახორციელებს სარდლობის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას;

გ) წყვეტს სარდლობის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს და პასუხისმგებელია სარდლობაზე დაკისრებული ამოცანების სრულფასოვნად შესრულებაზე;

[გ¹] უზრუნველყოფს სარდლობის საბრძოლო მომზადების დაგეგმვას და აღსრულებას, წვრთნებისა და სწავლებების ჩატარებას, ახორციელებს მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მიღწევისათვის საჭირო ღონისძიებებს;

[გ²] ამტკიცებს სარდლობის მიერ განსახორციელებელ სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამებს; **(ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)**

დ) კონტროლს უწევს ხელმძღვანელობის ბრძანებების, მითითებებისა და ინსტრუქციების შესრულებას სარდლობის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ე) ითანხმებს სარდლობის მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის საკითხებს;

ვ) ანაწილებს მოვალეობებს სარდლობის მოსამსახურეებს შორის, ზედამხედველობს მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;

ზ) უზრუნველყოფს დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის საბრძოლო და სამოხილიზაციო მზადყოფნას;

თ) სარდლობაში შემოსულ კორესპონდენციას ანაწილებს სარდლობის მოსამსახურეებზე;

ი) აანალიზებს სარდლობის საქმიანობას და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს სარდლობის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სარდლობის მოსამსახურეთა წახალისებას და მათ მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენებას;

ლ) თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა სარდლობის ამოცანების შესასრულებლად;

მ) პერიოდულად ისმენს ანგარიშს სარდლობის სტრუქტურული ერთეულების უფროსების, დაქვემდებარებული ქვედანაყოფების მეთაურების და მოსამსახურეების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ნ) შუამდგომლობს სარდლობის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;

ო) ახორციელებს სარდლობაში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას ან/და ხელმოწერას;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.



4. სარდალს ჰყავს ორი მოადგილე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

5. სარდლის დროებით არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს, სარდლის დავალებით, ახორციელებს სარდლის ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – სარდლობის შტაბის უფროსი.

6. სარდლის მოადგილე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარდლობაზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სარდლის, სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობის წინაშე;

7. სარდლის მოადგილე სარდლობაზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:

ა) ხელს უწყობს სარდალს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) სარდლის დავალების შესაბამისად განიხილავს სარდლობაში შესულ კორესპონდენციას;

გ) ზედამხედველობს სარდლობის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას და შრომის დისციპლინის დაცვას;

დ) ზედამხედველობს და ანაწილებს დავალებებს სარდლობის სტრუქტურულ ერთეულებს და მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;

ე) ახორციელებს სარდლობაში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას ან ხელმოწერას;

ვ) აანალიზებს სარდლობის საქმიანობას და სარდალს წარუდგენს წინადადებებს სარდლობის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ;

ზ) შუამდგომლობს სარდალთან მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;

თ) ასრულებს სარდლის, სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობის დავალებებსა და მითითებებს;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7¹. სარდლობის სერჟანტთა შემადგენლობას ხელმძღვანელობს და სარდლობის სამხედრო მოსამსახურეთა (გარდა ოფიცრებისა) დისციპლინის განმტკიცების, ფიზიკური მზადყოფნის, ინდივიდუალური საბრძოლო მომზადების, სამხედრო-პროფესიული განათლებისა და კარიერული განვითარების საკითხებს უფლებამოსილების ფარგლებში კოორდინაციას უწევს სარდლობის სერჟანტი, რომელსაც დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

8. სარდლობის სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის უფროსი (მეთაური), რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

9. სტრუქტურული ერთეულის უფროსი (მეთაური), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სტრუქტურულ ერთეულზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობის, სარდლის და სარდლის მოადგილის წინაშე.

10. სტრუქტურული ერთეულის უფროსი (მეთაური), სტრუქტურულ ერთეულზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:

ა) ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას;



ბ) ანაწილებს კორესპონდენციას სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებს შორის;

გ) უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულის მუშაობის ორგანიზებას და ზედამხედველობს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას;

დ) ახორციელებს სტრუქტურულ ერთეულში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს უწევს სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობის ბრძანებების, მითითებების, დავალებების, სარდლის, მოადგილის და სარდლობის შტაბის უფროსის დავალებების შესრულებას;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

11. სტრუქტურული ერთეულის უფროსის (მეთაურის), დროებით არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ახორციელებს სტრუქტურული ერთეულის მოხელე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 6 მარტის ბრძანება №21 - ვებგვერდი, 07.03.2018წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 6 აპრილის ბრძანება №20 - ვებგვერდი, 07.04.2021წ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 30 ნოემბრის ბრძანება №78 - ვებგვერდი, 01.12.2021წ.

მუხლი 6. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. სარდლობაში სასწავლო პროცესების ორგანიზება და შესაბამისი წვრთნებზე/სწავლებებზე/კურსებზე მოსამსახურეების ჩარიცხვა/ამორიცხვა, ხორციელდება სარდლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. სარდლობა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა სიების მიწოდებას თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრისათვის.

3. თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებს ევალებათ შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, სარდლობას გაუწიონ ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის დროებით გადაცემა) და განახორციელონ წვრთნებზე/სწავლებებზე/კურსებზე პირადი შემადგენლობის წარგზავნა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანება №121 - ვებგვერდი, 14.12.2018წ.

